

*დამტკიცებულია:
სსიპ - კასპის კოლეჯის დირექტორის
2021 წლის 18 თებერვლის №23 ბრძანებით*

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კასპის კოლეჯის

ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და პრევენციული ღონისძიებების
გატარების წესი

კასპი

2021 წელი

სსიპ – კასპის კოლეჯის ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და პრევენციული ღონისძიებების გატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კასპის კოლეჯის ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და პრევენციული ღონისძიებების გატარების წესის (შემდგომში - წესი) მიზანია, საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID – 19) (შემდგომში - ვირუსი) გავრცელებით გამოწვეული პანდემიის პერიოდში სსიპ – კასპის კოლეჯის (შემდგომში - კოლეჯი) სამუშაო სივრცეში განსაზღვროს ვირუსული ინფექციის გავრცელების რისკის შეფასების მინიმალური მოთხოვნები, პროცედურები და დაეხმაროს კოლეჯის ადმინისტრაციას თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მიმართ შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პრევენციული ღონისძიებების გატარებაში.

2. წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, საქართველოს ორგანული კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის N453–ე დადგენილებით დამტკიცებული „საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის ბრძანება №01-227/ო-თ დამტკიცებული „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“, კოლეჯის წესდების, შრომის შინაგანაწესისა და სხვა მოქმედი ნორმატიული აქტებით მარეგულირებელ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მუხლი 2. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესის მოთხოვნები ვრცელდება კოლეჯში დასაქმებულ ყველა თანამშრომელზე, ასევე კოლეჯის შენობების სამუშაო სივრცეში მყოფ პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე და სხვა (მესამე) პირზე.

2. ამ წესით დადგენილი ნორმების დაცვა სავალდებულოა მე-2 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული პირებისთვის და მათი მოთხოვნების შეუსრულებლობა გამოიწვევს დისციპლინური (ასევე დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ადმინისტრაციული) პასუხისმგებლობის ზომების დაკისრებას დამრღვევი პირის მიმართ.

მუხლი 3. სამუშაო ადგილზე ვირუსული ინფექციის გავრცელების პრევენციის ღონისძიებები

1. სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით ხელმძღვანელობს შემდეგი „კონტროლის ღონისძიებების იერარქიული“ საფეხურებით:

1.1. ელიმინაცია - ფზიკურად საფრთხის აღმოფხვრა;

1.2. ჩანაცვლება - საფრთხის ჩანაცვლება ნაკლებად საშიში საფრთხის შემცველი ფაქტორებით;

1.3. საინჟინრო კონტროლი - საფრთხეების იზოლირება ადამიანისგან;

1.4. ადმინისტრაციული კონტროლი - მუშაობის სტილის შეცვლა;

1.5. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები - დასაქმებულთა დაცვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, რისკის კონტროლის იერარქიის არჩევისას, არსებული სამუშაო გარემოს სპეციფიკისა და თავისებურებებიდან გამომდინარე კოლეჯი პრიორიტეტს ანიჭებს კონტროლის იერარქიის პირველ საფეხურს – საფრთხის აღმოფხვრას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ტექნოლოგიური და სხვა ობიექტური მიზეზების გამო, ვერ ხერხდება კონტროლის იერარქიის სრული დაცვა, კოლეჯი ხელმძღვანელობს დადმავალი მიმართულებით უპირატესი საკონტროლო ღონისძიებიდან ბოლო საფეხურამდე.

3. კოლეჯის სამუშაო სივრცეში პრევენციული ღონისძიებების გატარება და კონტროლი მათ შესრულება უნდა ხორციელდებოდეს სისტემატურად, რათა მოხდეს საფრთხის აღმოფხვრა, ხოლო აღმოფხვრის შეუძლებლობის შემთხვევაში მისი შემცირება და მინიმუმამდე დაყვანა.

4. არსებული რეალობიდან გამომდინარე, ვინაიდან მსოფლიო პანდემიის პირობებში შეუძლებელია პირველი ორი იერარქიული საფეხურის გამოყენება COVID-19-ის ვირუსის აღმოსაფხვრელად ან ჩასანაცვლებლად, კოლეჯის მიერ პრევენციული ღონისძიებები ტარდება შემდეგი იერარქიულობის დაცვით:

ა) საინჟინრო კონტროლის ღონისძიებები (მაგ. - დამცავი (გამყოფი) კონსტრუქციები და დეზო ბარიერები);

ბ) ადმინისტრაციული კონტროლის ღონისძიებები (ინსტრუქციები, ტრენინგი, სადეზინფექციო საშუალებების უზრუნველყოფა, საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შემუშავება, დისტანციური რეჟიმში მუშაობა/სწავლება და სხვა);

გ) ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება (ნიღბები, სახის დამცავი ფარი, სათვალეები, ხელთათმანები, კომბინიზონი, ბახილები).

5. კონტროლის ღონისძიების თითოეულ ღონის შერჩევას კოლეჯის მიერ მხედველობაში მიიღება ამ ღონისძიებების უპირატესობები და ნაკლოვანებები და მათი განხორციელების შესაძლებლობა. ასევე სამუშაო ადგილზე ვირუსული ინფექციის გავრცელების თავიდან აცილების ან შემცირების (მართვის) მიზნით შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთობლივად კონტროლის ორი ან მეტი ღონისძიების კომბინაცია.

მუხლი 4. სამუშაო ადგილზე ვირუსული ინფექციის გავრცელების საკონტროლო ღონისძიებები

1. კოლეჯში ვირუსული ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით, ქვეყანაში (მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე) არსებული კოვიდპანდემიით გამოწვეული სიტუაციიდან გამომდინარე, შესაძლებელია განხორციელებულ იქნეს შემდეგი საკონტროლო ღონისძიებები:

ა) მოწოდება კოვიდინფექციის სიმპტომების მქონე თანამშრომლების მიმართ, რომ არ გამოცხადდნენ სამსახურში და დარჩნენ სახლში;

ბ) ალტერნატიული დღეების ან ცვლებში მუშაობის (მორიგეობის) შემოღება, რათა შემცირდეს კოლეჯის შენობაში ერთდროულად მყოფ თანამშრომელთა საერთო რაოდენობა;

გ) კოლეჯის თანამშრომელთა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირებს შორის კონტაქტის მინიმუმამდე შემცირების მიზნით, დისტანციური მუშაობის შემოღება;

დ) შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ კოლეჯის თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა/მსმნელთათვის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მიღებული რეგულაციებისა და რეკომენდაციების შესახებ განახლებული ინფორმაციის მიწოდება;

ე) შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ კოლეჯის თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა/მსმნელთათვის პერიოდულად ტრენინგების და ინსტრუქტაჟების ჩატარება ვირუსის გავრცელების რისკების, პრევენციული საკონტროლო ღონისძიებების (მაგ. ხველების ეტიკეტი, ხელის დაბანის ეტიკეტი, პირადი დაცვის აღჭურვილობის მოვლა და ა.შ.) და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორად გამოყენებასა და შემდგომში მათ შენახვა/მოცილებაზე შესახებ.

2. კოლეჯის დამფუძნებლის – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილებით ეპიდემიის/პანდემიის დროს შესაძლებელია მიღებულ იქნას გადაწყვეტილება კოლეჯში სასწავლო პროცესის შეჩერების, განახლებისა და დისტანციურად წარმართვის თაობაზე.

3. ვირუსული ინფექციის გავრცელების მინიმუმამდე შემცირების მიზნით კოლეჯში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საინჟინრო და ადმინისტრაციული კონტროლის ღონისძიებებთან ერთად ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებაც.

მუხლი 5. სამუშაო ადგილზე თანამშრომელთა მიერ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება

1. ვირუსული ინფექციის გავრცელების პერიოდში კოლეჯის შენობაში არსებულ დახურულ საჯარო სივრცეში ყოფნის დროს, კოლეჯის ყველა თანამშრომელი პროფესიული სტუდენტი/მსმენელი და მესამე პირი ვალდებულია ატაროს პირბადე.

2. კოლეჯში ვირუსული ინფექციის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების განხორციელების დროს, ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დამატებითი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები - ხელთათმანები, დამცავი სათვალეები, სახის დამცავი ფარები, რესპირატორული დამცავი საშუალებები, ბახილები და სხვა ის ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რაც შესაძლოა გონივრულად იყოს მიჩნეული ვირუსული ინფექციის პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით.

3. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შერჩევას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რომ:

ა) შერჩეულ იქნეს თანამშრომლის მიერ შესასრულებელი სამუშაოს შესაბამისად;

ბ) სათანადოდ იყოს მორგებული სამუშაოსა და დასაქმებულზე (მაგ. ნიღბები);

გ) გამოიყენებოდეს დადგენილი წესის შესაბამისად;

დ) რეგულარულად ხორციელდებოდეს მისი შემოწმება ვარგისიანობაზე (საჭიროების შემთხვევაში გაეწიოს ტექნიკური მომსახურება, ხოლო დაზიანების შემთხვევაში უნდა მოხდეს მისი დროული გამოცვლა);

4. ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით თანამშრომლის აღჭურვაზე, მისი სამუშაოს სპეციფიკასა და საჭიროებებთან შესაბამისობის შემოწმებაზე პასუხისმგებელია კოლეჯი.

5. კოლეჯის მიერ თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთათვის გასაგებად უნდა მოხდეს ინფორმაციის მიწოდება და ახსნა ინდივიდუალური დაცვის საშუალების შერჩევის, გამოყენების (მათ შორის მისი ტარების, მორგების, სათანადო განთავსების, ან დეზინფექციის, დაზიანებაზე შემოწმების და ა.შ.) შესახებ.

6. კოლეჯის თანამშრომლები და კოლეჯის ტერიტორიის საჯარო სივრცეში მყოფი მესამე პირები ვალდებულნი არიან, ინდივიდუალური დაცვის საშუალების დაზიანების ან მისი ექსპლოატაციის ვადის გასვლის შემთხვევაში იგი მოათავსონ კოლეჯში სპეციალურად გამოყოფილ დახურულ კონტეინერებში.

მუხლი 6. ვირუსის გავრცელების რისკის შეფასების კრიტერიუმები

1. ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი სამუშაო ადგილებზე ახდენს რისკის შეფასებას. რისკები შეიძლება იყოს:

ა) ძალიან მაღალი - თუ სამუშაო ადგილზე დასაქმებულის ვირუსული ინფექციით ინფიცირების შესაძლებლობის დონე ძალიან მაღალია;

ბ) მაღალი - თუ ვირუსული ინფექციით ინფიცირების დონე სამუშაო ადგილზე მაღალია ან სავარაუდო წყაროების მიმართ ინფიცირების დიდი პოტენციალი არსებობს;

გ) საშუალო - თუ ინფიცირების საშუალო რისკის სამუშაო ადგილები მოიცავს ისეთ სამუშაო ადგილებს, სადაც დასაქმებულებს მოეთხოვება ხშირი ან/და მჭიდრო კონტაქტის ქონა (2 მეტრზე ნაკლები) იმ ადამიანებთან, რომლებიც არ წარმოადგენენ ვირუსული ინფექციით დაინფიცირებულ ან დაინფიცირებაზე საექვო პაციენტებს;

დ) დაბალი - თუ ინფიცირების დაბალი რისკის სამუშაო ადგილები ისეთი ადგილებია, სადაც დასაქმებულებს არ მოეთხოვება ვირუსული ინფექციით დაინფიცირებულ, ან ვირუსით დაინფიცირებაზე საექვო პირებთან კონტაქტი, და არც ხშირი და ახლო კონტაქტი მოეთხოვება ფართო საზოგადოებასთან.

2. კოლეჯის სამუშაო ადგილებზე რისკის დონის განსასაზღვრად მხედველობაში მიიღება შესასრულებელი სამუშაოს ტიპი.

მუხლი 7. სამუშაო ადგილებზე გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები

1. კოლეჯი თავისი საწესდებო მიზნების, ასევე შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე კლასიფიცირდება, როგორც ვირუსული ინფექციის გავრცელების საშუალო რისკის მქონე ობიექტი. თანამშრომელთა და კოლეჯის სამუშაო სივრცეში მყოფ მესამე პირთა სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, კოლეჯის ადმინისტრაცია მიმართავს თანმიმდევრულ და სისტემატურ პრევენციული ღონისძიებების გატარებას, რათა მოხსნეს დაინფიცირების რისკის გამორიცხვა ან მისი მინიმუმამდე დაყვანა.

2. კოლეჯი, როგორც საშუალო რისკის მქონე ობიექტი სამუშაო ადგილებზე თანამშრომელთა და მესამე პირთა ვირუსული ინფექციით დაინფიცირების პრევენციის მიზნით ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

ა) საინჟინრო კონტროლის ღონისძიებები:

ა.ა) კოლეჯის შენობის ყველა შესასვლელში დეზობარიერების განთავსება. საჭიროების შემთხვევაში სხვა სახის ბარიერების (გამჭვირვალე დაფა, გადასაადგილებელი სივრცის განსაზღვრა ჯაჭვით, თოკით) დამონტაჟება;

ა.ბ) დისტანციის აღმნიშველი სტიკერების დამონტაჟება (2 მეტრიანი დისტანციის დაცვით) თანამშრომელთა ან/და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა შორის დისტანციის დაცვის მიზნით.

ბ) ადმინისტრაციული კონტროლის ღონისძიებები:

ბ.ა) სახის დამცავი ნიღბებით (პირბადე) ყველა იმ თანამშრომლისა და მესამე პირის აღჭურვა, რომლებიც იმყოფებიან კოლეჯის ტერიტორიაზე და რომლებსაც აღენიშნებათ ინფექციური ვირუსით დაავადების სიმპტომები (შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანამდე, ვიდრე ისინი შეძლებენ სამუშაო ადგილის დატოვებას);

ბ.ბ) ვირუსული ინფექციის გავრცელების, პრევენციული ღონისძიებებისა და დამცავი საშუალებების შესახებ კოლეჯის თანამშრომელთა ან/და სამუშაო სივრცეში მყოფ მესამე პირთათვის ინფორმაციის თვალსაჩინო ადგილას განთავსება (საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია კოლეჯის შენობაში, ვირუსის და მისი თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის ხმოვანი და ვიზუალური (ვიდეო და აუდიო) სახით გავრცელება);

ბ.გ) ყოველდღიურად (ყოველ 2 საათში ერთხელ) დახურული სივრცეების/სათავსების ბუნებრივი ვენტილაცია, სამუშაო ადგილების სველი წესით დასუფთავება და დეზინფექციის ჩატარება დადგენილი წესით;

ბ.დ) დეზობარიერების განთავსება შენობების შესასვლელებში, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით;

ბ.ე) ხელის ჰიგიენური საშუალებების განთავსება თვალსაჩინო ადგილას და იმავე ადგილზე ინფორმაციის განთავსება მათი სწორად მოხმარების თაობაზე;

ბ.ვ) გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის განთავსდება დახურული კონტეინერები, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოხდება ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყოფილი იქნება ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ;

ბ.ზ) საჭიროების შემთხვევაში კოლეჯის შენობაში მესამე პირების და ფართო საზოგადოების დაშვების შეზღუდვა ან სამუშაო სივრცეში მათი დაშვების არეალის განსაზღვრა;

ბ.თ) თანამშრომლებთან და საქმიან პარტნიორებთან, პირადი ფიზიკური კონტაქტების მინიმუმამდე შემცირების ღონისძიებების დაგეგმვას (მაგ. ტელეფონით ან სოციალური ქსელების გამოყენებით კომუნიკაცია);

ბ.ი) სამუშაოს დაწყების წინ განხორციელდება კოლეჯის თანამშრომლების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და შენობაში შემსვლელ მესამე პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლი ტემპერატურის გაზომვით და გამოკითხვით. ამ მიზნით, მონაცემები აღირიცხება ჟურნალში (მისი წარმოება შესაძლებელია ელექტრონულად), სადაც დაფიქსირებული იქნება პასუხები შემდეგ კითხვებზე:

- ტემპერატურული რეაქცია;
- შემდგარი კონტაქტი დაინფიცირებულთან და ინფექციაზე საეჭვო პირთან;
- რესპირატორული სიმპტომების არსებობა, ასევე გემოს და სუნის აღქმის დაკარგვა.

ბ.კ) კოლეჯის თანამშრომლის ან მესამე პირისთვის ვირუსული ინფექციის სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში (თერმოსკრინინგისას ცხელების - 37°C ან 37°C -ზე მეტი ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში, პირი ექვემდებარება ტემპერატურის გადამოწმებას ვერცხლისწყლის თერმომეტრით 15-წუთიან შუალედში, მოსაცდელ სივრცეში (ყოველი გამოყენების შემდეგ ვერცხლისწყლის თერმომეტრი სავალდებულოა დამუშავდეს სადეზინფექციო ხსნარით), კოლეჯი უზრუნველყოფს მის დაუყოვნებლივ დროებით განთავსებას სპეციალურად გამოყოფილ საიზოლაციო (დაყოვნების) ოთახში, რომლის შესასვლელზე დაიკიდება სპეციალური ნიშანი, რომელიც კრძალავს სხვა პირების შესვლას. საიზოლაციო ოთახი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ოპტიმალური ბუნებრივი ვენტილაციით, ასევე აღჭურვილი იყოს დასაჯდომი/მოსასვენებელი საშუალებებით (სკამი/სავარძელი/ტახტი) და ხელმისაწვდომი იყოს ხელის ჰიგიენის საშუალებები: ხელსაბანი, ნიჟარა და თხევადი საპონი ან ხელის სანიტაიზერი.

სიმპტომების მქონე პირის შესახებ ინფორმაცია გადაეცემა შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს, კერძოდ: სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრში (ნომერზე 112). დაყოვნების ოთახი აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით - რესპირატორი/პირბადე, ხელთათმანები, სპეცხალათები). სიმპტომების მქონე პირისგან მიიღება ინფორმაცია (თანამშრომლებთან) ყველა ახლო კონტაქტის შესახებ და ამ მოძიებულ ინფორმაციას გადასცემს შესაბამის სტრუქტურებს. სამუშაო ჯგუფის წევრები ვალდებული არიან რისკ ჯგუფის წარმომადგენელ პირთან დაიცვან მინიმუმ 2 მეტრიანი დისტანცია.

დაყოვნების ოთახში განთავსების შემდგომ, ჩატარდება ოთახის სრული დეზინფექცია;

ბ.ლ) კოლეჯი უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ შენობაში ყოველ 2 საათში ერთხელ მოახდინოს ხშირად გამოყენებადი საგნების (კარების სახელურები, ჩამრთველები, ლიფტის ღილაკები და სხვა) ზედაპირების დასუფთავებას შესაბამისი წიქით;

გ) ინდივიდუალური დაცვის საშუალებები:

გ.ა) ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შერჩევას კოლეჯის მიერ მხედველობაში მიიღება მათი ფუნქციური დანიშნულების, მორგებადობის, გაუსნებოვნების შესაძლებლობისა და საბოლოო განთავსების გათვალისწინება;

გ.ბ) კოლეჯის მიერ ხდება ისეთი ინდივიდუალური დაცვის საშუალების შერჩევა, რომელიც დაიცავს თანამშრომლებს კონკრეტულად მისი სამუშაო ადგილისა და სპეციფიკის გათვალისწინებით;

გ.გ) იმ თანამშრომლებმა, რომლებიც ინფიცირების რისკის წინაშე დგანან, შესასრულებელი სამუშაოდან გამომდინარე, შეიძლება ატარონ ხელთათმანები, ხალათი, სახის დამცავი ფარი, დამცავი სათვალეები და რესპირატორი/პირბადე;

მუხლი 8. ვირუსის სიმპტომების მქონე თანამშრომელთა მიმართ მუშაობის სპეციფიკა

1. კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ უნდა შეფასდეს თანამშრომლების სამუშაო სპეციფიკა და ინდივიდუალური მახასიათებლები და დასაქმებულებს მიეცეს შესაძლებლობა არ გამოცხადდნენ სამუშაო ადგილას თუ:

ა) აღენიშნებათ რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუთქვის გამწვანება, საერთო სისუსტე და ა.შ.);

ბ) მიეკუთვნებიან ვირუსული ინფექციის გართულებების მაღალი რისკის მქონე პირებს (ასაკი, ქრონიკული დაავადებების (გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი, ბრონქული ასთმა და სასუნთქი ორგანოების სხვა დაავადებები) და სხვა).

2. დადასტურებულ შემთხვევაში ვირუსით ინფიცირებულ პირთან ფიზიკური კონტაქტის, ან ამ მუხლის პირველი ნაწილის ა) პუნქტით გათვალისწინებული სიმპტომების არსებობის შემთხვევაში, კოლეჯის თანამშრომელი ვალდებულია დაუყოვნებლივ ჩაიტაროს ე.წ. PCR

ტესტი და მისი პასუხის მიღებამდე არ გამოცხადდეს სამსახურში და დაიცვას სამედიცინო დაწესებულების მიერ განსაზღვრული თვითიზოლაციის წესები. ამასთან, თანამშრომელი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ მაშინვე ან არაუგვიანეს მომდევნო დღეს ტელეფონის საშუალებით შეატყობინოს კოლეჯის ადმინისტრაციას სამსახურში გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ.

3. ე.წ. PCR ტესტის დადებითი პასუხის არსებობის შემთხვევაში, თანამშრომელი ვალდებულია ტელეფონის საშუალებით მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ შეატყობინოს კოლეჯის ხელმძღვანელობას და სამკურნალო დაწესებულებიდან გამოწერის (გამოჯანმრთელების) შემდეგ, კოლეჯში წარმოადგინოს შესაბამისი საავადმყოფო ფურცელი, სადაც იქნება აღნიშნული მისი ინფექციური ვირუსით გამოწვეული ავადმყოფობის დიაგნოზი და სტაციონალური მკურნალობის ხანგრძლივობა.

მუხლი 9. სამუშაო ადგილებზე ჰიგიენის და დეზინფექციის კონტროლი

1. კოლეჯი სამუშაო ადგილებზე პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მიზნით უზრუნველყოფს ჰიგიენის და დეზინფექციის სათანადო კონტროლს.

2. კოლეჯის ადმინისტრაცია სამუშაო ადგილზე ვირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებები უნდა დაგეგმოს და განახორციელოს იმგვარად, რომ უზრუნველყოს:

ა) სამუშაო ადგილებზე ხელების ხშირი და გულდასმით დაბანის ხელშეწყობა;

ბ) ხელის დასაბანი ადგილის გამოყოფა თანამშრომელთა და მესამე პირებისთვის;

გ) ხელის დაბანის შეუძლებლობის შემთხვევაში, გამოყენებულ იქნეს სულ მცირე 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის გამწმენდი სითხე;

დ) თანამშრომელთა წახალისება, რათა დარჩნენ სახლში ავად ყოფნის შემთხვევაში;

ე) რესპირატორული ეტიკეტის დაცვის წახალისება, მათ შორის ხველის დაცემინების დროს ცხვირის და პირის დაფარვა;

ვ) ერთჯერადი ხელსახოცებით და სხვა პირადი დაცვის საშუალებებით სამუშაო ადგილების მომარაგება;

ზ) ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი;

თ) დასაქმებულისათვის ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია დაავადებული თანამშრომლების სახლში დარჩენა, როტაციული გრაფიკის შემუშავება ან/და სამუშაოს დისტანციურად შესრულება.

3. კოლეჯის შრომის შინაგანაწესით განსაზღვრული შესვენების გარდა, თანამშრომლებს სამუშაო დღის განმავლობაში ეძლევათ დამატებით ორი მცირე (სანიტარული) შესვენება (თითო შესვენება 15 წუთით), რათა თანამშრომლებმა სამუშაო ადგილზე მოახინონ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შეცვლა, პირადი მოხმარების ნივთების მოწესრიგება/დეზინფექცია და სხვა.

მუხლი 10. სასწავლო პროცესის მოწყობა

1. კოლეჯში პედაგოგებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მიღება უზრუნველყოფილ იქნება წინასწარ განსაზღვრული გეგმის/ცხრილის მიხედვით.

2. წინასწარ განისაზღვრება პედაგოგებისა და ცვლებში მისაღები პროფესიული სტუდენტების/მსმენელების რაოდენობა ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნება კოლეჯის სამუშაო ფართის ყოველ 5 კვ.მ. ფართობზე 1 (ერთი) ადამიანის დაშვება.

3. კოლეჯში შესვლისას და შიდა სივრცეში გადაადგილებისას განხორციელდება თანამშრომელთა და მესამე პირთა ნაკადის კონტროლი უსაფრთხო დისტანციის დაცვით არაუმცირეს 2მ.

4. კოლეჯის სასწავლო აუდიტორიებში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა განთავსება სასწავლო მაგიდებთან განხორციელდება იმგვარად, რომ არ აღმოჩნდნენ ერთმანეთისა და პედაგოგის პირისპირ და მათ შორის დაცულ იქნას მინიმუმ 2 მეტრიანი დისტანცია.
5. ლექციის/სემინარის დროს პედაგოგს უნდა ეკეთოს პირბადე იმ შემთხვევაში, თუ მაგიდები განლაგებულია იმგვარად, რომ მასსა და სტუდენტებს შორის შეუძლებელია 2-მეტრიანი დისტანციის დაცვა.
6. ამ წესის საილუსტრაციოდ, სასწავლო აუდიტორიებში აუცილებელია შესაბამისი სტიკერებით მოინიშნოს უსაფრთხო დისტანციის განსასაზღვრელი ადგილები.

11. გამოცდის ჩატარება

1. კოლეჯში გამოცდაზე სტუდენტების მიღება უზრუნველყოფილ იქნება იმგვარად, რომ დაკავებული იყოს სამუშაო ფართის 50%;
2. მაგიდების განლაგებისას გამოიყენება შემდეგი პრინციპი: სტუდენტები მაგიდებთან არ განათავსდებიან ერთმანეთის პირისპირ და სამუშაო სივრცის ყოველ 5კვ.მ. ფართობზე დაუშვებულ იქნება მხოლოდ 1 (ერთი) ადამიანი;
3. საგამოცდო ცენტრში არ დაიშვებიან პედაგოგები და პროფესიული სტუდენტები/მსმენელები ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (პირბადეების) გარეშე.
4. გამოცდა გამსვლელი სტუდენტების რაოდენობიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოცდები ჩატარებისას გამოიყენებულ იქნას ცვლებში მუშაობის რეჟიმი.
5. გამოცდებს შორის, ყოველი ცვლის შემდგომ გამოიყენებულ იქნება სანიტარული შესვენება.
6. საგამოცდო დარბაზის/აუდიტორიის შესასვლელში განთავსდება ხელის დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე, 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარი.

მუხლი 12. გარდამავალი დებულებები

1. ამ წესის მოთხოვნები გასაცნობად და შესარულებლად სავალდებულოა კოლეჯში დასაქმებულ ყველა თანამშრომლისთვის, პროფესიული სტუდენტის/მსმენელისთვის. გაცნობის მიზნით წესი თავსდება თვალსაჩინო ადგილზე (საინფორმაციო დაფებზე).
2. პანდემიის პერიოდში ამ წესის მოთხოვნები, სიტუაციიდან გამომდინარე შესაძლებელია შეიცვალოს საქართველოს მთავრობის ან შესაბამისი სამინისტროს მიერ მიღებული ახალი რეგულაციების შესაბამისად, რაც ცვლილებების სახით აისახება ამ წესში და ეცნობება კოლეჯის თანამშრომლებს.
3. კოლეჯში, ბუნებრივი ან ტექნოგენური ფაქტორებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციის დროს, თანამშრომელთა უსაფრთხოებისა და პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად მოქმედებს, კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული კოლეჯის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
4. წესის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ქვეყანაში (კასპის მუნიციპალიტეტში) შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ გამოცხადებული პანდემიის პერიოდში.

კოლეჯის ტერიტორიაზე ვირუსული პანდემიის დროს თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ქცევის წესები

ხელის ჰიგიენის რეგულარულად და საფუძვლიანად შესრულება წარმოადგენს უმეტესი ვირუსისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებას. შესაბამისად, აუცილებელია სამუშაო ადგილზე განახორციელოთ შემდეგი ღონისძიებები:

- დაიცავით ჰიგიენის წესები თქვენს სამუშაო ადგილზე;
- სამუშაო პროცესი განახორციელებით კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ განსაზღვრული საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შესაბამისად;
- მისაღმებისას არ ჩამოართვათ ხელი ერთმანეთს და მოერიდეთ სხვებთან კონტაქტს (შეხებას და სხვა);
- მოერიდეთ თავშეყრას, დაიცავით რეკომენდაცია უსაფრთხო დისტანციის დაცვით;
- სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ სრულად ის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელსაც გაწვდით კოლეჯი;
- სამუშაოს დაწყებისა და დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ სამუშაო ადგილები და ის ხელსაწყოები, რომელსაც იყენებთ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;
- გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას და გაშრობას. გახსოვდეთ, რომ ხელების დაბანა საპნითა და წყლით არის უპირატესი;
- დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი ან იდაყვი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადააგდეთ ურნაში;
- ხელის ჰიგიენა ჩაიტარეთ დამატებით აუცილებლად:
- საკვების მიღებამდე და მიღების შემდეგ;
- დახველების ან დაცემინების შემდეგ;
- თანხის კუპირებთან და მონეტებთან ხელით შეხების შემდეგ.